ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200571106**
თარიღი: **26/02/2020**
პინი: **3302**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 17 თებერვლის #17-01200482419-18 წერილით (AR1725648; IV კლასი, საწყობი) გადმოგზავნილი, მოქალაქე თამარ ქურთაულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ექსპერტ გიორგი კაპანაძის 2020 წლის 05 თებერვლის მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს სს „საქმეოლითის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N6, ს.კ.: 01.19.21.003.086; ფუნქციური ზონა: ს-1) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით, ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ საექსპერტო დასკვნაში აღწერილია ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი ჭადარი, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიული რუკისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტოპო. გეგმის მიხედვით დგინდება, რომ ტერიტორიაზე ბევრად მეტი მწვანე ნარგავია ვიდრე საექსპერტო დასკვნაშია აღწერილი. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს კორექტირებული საექსპერტო დასკვნა, სადაც აღწერილი იქნება საკადასტრო ერთეულში (01.19.21.003.086) არსებული ყველა მწვანე ნარგავის სახეობა და მდგომარეობა.

ზემოარნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური განიხილავს საკითხს მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი